დანართი 1

დამტკიცებულია: ბრ.#07/01-36, 26/07/2024

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის
სასწავლო პრაქტიკის განხორციელებისა და შეფასების წესი
(საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებისთვის)

თბილისი
2024

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1.1. წინამდებარე წესის მიზანია მოაწესრიგოს შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ (შემდგომში – „უნივერსიტეტი“) საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში განხორციელებული სასწავლო პრაქტიკის პროცესი და მასთან დაკავშირებული ურთიერთობები.

მუხლი 2. პრაქტიკის პერიოდისა და ადგილის განსაზღვრა

2.1. სტუდენტების მიერ სასწავლო პრაქტიკის გავლა ხორციელდება შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ პერიოდში.

2.2. პრაქტიკის განხორციელების ადგილებს განსაზღვრავს უნივერსიტეტი საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნების გათვალისწინებით.

2.3. პრაქტიკის განხორციელების ადგილი შესაძლებელია იყოს ნებისმიერი კერძო და/ან საჯარო დაწესებულება, რომელთანაც უნივერსიტეტს დადებული აქვს მემორანდუმი/ ხელშეკრულება სასწავლო პრაქტიკის განხორციელების შესახებ.

2.4. პრაქტიკის ადგილი შესაძლოა იყოს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეული. ამ შემთხვევაში, სკოლის დეკანის მიერ შიდა კორესპონდენცია პრაქტიკის განხორციელების პროცესში თანამშრომლობის თხოვნის შესახებ ეგზავნება შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს.

2.5. უნივერსიტეტის სახელით შესაძლოა მიემართოს კონკრეტულ კერძო ან/და საჯარო დაწესესებულებას, სტუდენტის მიერ პრაქტიკის გავლის მოთხოვნით, დადებითი პასუხის არსებობის შემთხვევაში შესაძლებელია ასევე პრაქტიკის გავლის ადგილად განისაზღვროს აღნიშნული დაწესებულება.

მუხლი 3. პრაქტიკის მემორანდუმის/ხელშეკრულების/კორესპონდენციის არსებითი პირობები

3.1. პრაქტიკის განმახორციელებელ დაწესებულებასთან გაფორმებული მემორანდუმი/ ხელშეკრულება უნდა ითვალიწინებდეს სტუდენტების რაოდენობას, ასევე პრაქტიკის მიზანსა და ხანგრძლივობას.

3.2. უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულის ფარგლებში პრაქტიკის განხორციელებისას, სკოლის დეკანის მიერ გაგზავნილ შიდა კორესპონდენციას თან უნდა ერთვოდეს პრაქტიკის სილაბუსი. ასევე, კორესპონდენციაში ასახული უნდა იყოს პრაქტიკის განხორციელებისათვის საჭირო ყველა მნიშვნელოვანი ასპექტი (მათ შორის გასაგზავნი სტუდენტების რაოდენობა, პრაქტიკის მიზანი და ხანგრძლივობა).

მუხლი 4. პრაქტიკის ხელმძღვანელობა

4.1. პრაქტიკის პროცესის ხელმძღვანელობას განახორციელებს პრაქტიკის ადგილზე შესაბამისი ერთეულ(ებ)ის უფროსი (პრაქტიკის ზედამხედველი) და უნივერსიტეტის შესაბამისი სკოლის მიერ დანიშნული წარმომადგენელი (პრაქტიკის ხელმძღვანელი).

4.2. პრაქტიკის ხელმძღვანელი უნდა ფლობდეს მაგისტრის აკადემიურ ხარისხს ან/და სასწავლო პრაქტიკის სპეციფიკიდან გამომდინარე შეიძლება იყოს შესაბამისი დარგის სპეციალისტი, მინიმუმ 3 წლიანი გამოცდილებით.

მუხლი 5. პრაქტიკის შეფასება

5.1. პრაქტიკის მოცულობა კრედიტებში განისაზღვრება საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით.

5.2. პრაქტიკის კომპონენტის შუალედურ შეფასებას ახდენს პრაქტიკის ზედამხედველი. ამ მიზნით, პრაქტიკის დასრულებისას ავსებს პრაქტიკის ანგარიშს და გადასცემს პრაქტიკის ხელმძღვანელს (პრაქტიკის კომპონენტის შუალედური შეფასების ფორმა იხ. დანართ N1-ში).

5.3. საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებიდან გამომდინარე, პრაქტიკის ხელმძღვანელიც შესაძლებელია ჩართული იყოს შუალედური შეფასების პროცესში.

5.4. შუალედურ და საბოლოო შეფასებებში კომპონენტების გადანაწილება და შეფასებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები განისაზღვრება პრაქტიკის სილაბუსით.

5.5. დასკვნითი შეფასების მიღება ხდება პრაქტიკის ანგარიშის დაცვის გზით პროგრამის ხელმძღვანელის, პრაქტიკის ხელმძღვანელისა და შესაბამისი დარგის სპეციალისტ(ებ)ისაგან შექმნილი კომისიის წინაშე (პრაქტიკის კომპონენტის დასკვნითი შეფასების ფორმა იხ. დანართ N2-ში).

5.6. პროგრამის თავისებურებებიდან გამომდინარე, დასკვნითი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს განსხვავებული სახით, პრაქტიკის სილაბუსის შესაბამისად.

მუხლი 6. პრაქტიკის შეფასების გასაჩივრება

6.1 სტუდენტი უფლებამოსილია პრაქტიკის შეფასების შედეგები მისი გაცნობიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, განცხადების წარდგენის გზით გაასაჩივროს სასწავლო პროცესების მონიტორინგის სამსახურში;

6.2 საწყის ეტაპზე სტუდენტს შესაძლებლობა აქვს სასწავლო პროცესების მონიტორინგის სამსახურიდან მოითხოვოს პრაქტიკის შეფასების ფორმის გაცნობა, რომელიც შევსებულია მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად კომისიის წევრების მიერ.

6.3 თუ სტუდენტი არ ეთანხმება კომისიის მიერ შეფასებულ ქულას, იგი უფლებამოსილია სასწავლო პროცესების მონიტორინგის სამსახურს წარუდგინოს განცხადება და არგუმენტირებულად დაასაბუთოს გასაჩივრების მიზეზი.

6.4 სასწავლო პროცესების მონიტორინგის სამსახურის მიმართვის საფუძველზე, სკოლა კომისიას, სტუდენტის განცხადებას და შეფასების ფორმას გადასცემს 2 სამუშაო დღის ვადაში.

6.5 კომისია განაცხადის მიღებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, წარმოადგენს მოხსენებით ბარათს, სადაც ის არგუმენტირებულად პასუხობს სტუდენტის განცხადებას და, საჭიროების შემთხვევაში, ცვლის შეფასებას.

6.6 კომისიის გადაწყვეტილება სტუდენტს ეცნობება იმავე დღეს.

6.7 იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი არ ეთანხმება კომისიის გადაწყვეტილებას და ითხოვს შედეგების ხელახალ შეფასებას: მაშინ 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში წერს განცხადებას სასწავლო დარგში პრორექტორის სახელზე.

6.8 პრაქტიკის შეფასების ხელახალი გადახედვის მოთხოვნის შემთხვევაში, პრორექტორი სასწავლო დარგში უფლებამოსილია სტუდენტის საჩივარში მითითებული გარემოებებიდან გამომდინარე, მიიღოს გადაწყვეტილება ხელახალი კომისიის შექმნის თაობაზე, რომლის შემადგნელობაშიც მე-5 მუხლის 5.5 პუნქტით განსაზღვრული პირების გარდა შეიძლება შედიოდნენ: ომბუდსმენი, სასწავლო პროცესების მონიტორინგის

სამსახურის უფროსი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, სკოლის წარმომადგენელი - დეკანი, მოწვეული სპეციალისტები.

6.9 კომისია გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით.

6.10 კომისიას ეძლევა 5 (ხუთი) სამუშაო დღე შეფასების განხორციელებისათვის.

6.11 კომისია ხმათა უმრავლესობით, იღებს შემდეგი ორი გადაწყვეტილებიდან ერთ-ერთს:

ა) უცვლელად ტოვებს მე-5 მუხლის 5.5. პუნქტით განსაზღვრული კომისიის შეფასებას;

ბ) ცვლის მე-5 მუხლის 5.5. პუნქტით განსაზღვრული კომისიის შეფასებას (გაზარდოს ან შეამციროს).

6.12 წინამდებარე მუხლის 6.8 პუნქტით გათვალისწინებული კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არის საბოლოო და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

6.13 შესაბამისი სკოლა, კომისიის დასკვნას, იმავე სამუშაო დღეს აცნობებს სასწავლო პროცესების მონიტორინგის სამსახურს.

6.14 მიღებული ქულა 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში სასწავლო პროცესების მონიტოპრინგის სამსახურის მიერ აისახება ნიშნების ელექტრონულ ბაზაში. ხოლო შესაბამისი დოკუმენტაცია ინახება სტუდენტის პირად საქმეში.

მუხლი 7. დასკვნითი დებულებები

7.1 წინამდებარე წესი ძალაში შედის რექტორის მიერ მისი დამტკიცებისთანავე.

7.2 წინამდებარე წესში ნებისმიერი ცვლილების შეტანა შესაძლებელია მისი მიღებისათვის დადგენილი გზით.

7.3 წინამდებარე წესის შესრულებაზე ზედამხედველობა განხორციელდება სასწავლო დარგში პრორექტორის მიერ.